




ავტორები: დავით კუშელავა, იასია ბაბიჩი

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2022 წლის თებერვლის მონაცემებზე დაყრდნობით: სიმშვიდე ქარიშხლის წინ?

გრაფიკი 1 - საქართველო, რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი (წ./წ.)



ISSET-ის კვლევითმა ინსტიტუტმა განაახლა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზი 2022 წლის პირველი და მეორე კვარტლებისთვის. ამ თვის ანგარიშის ძირითადი მიგნებები ასე გამოყურება:

**ძირითადი მიგნებები:**

- საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2022 წლის თებერვლის მშპ-ის რეალური ზრდის წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, ზრდის მაჩვენებელმა 14.6% შეადგინა, ხოლო 2022 წლის იანვარ-თებერვლის რეალური ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 16.3%-ს მიაღწია.
- 2022 წლის თებერვლის მონაცემებზე დაყრდნობით, ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი 2022 წლის პირველ კვარტალში 4.6%-იან, მეორე კვარტალში კი -4.6%-იან ზრდას ვარაუდობს. 2022 წლის იანვარ-თებერვლის ეკონომიკური ზრდის წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით,



შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ პირველი კვარტლის პროგნოზში მშპ-ის რეალური ზრდა არასათანადოდ არის შეფასებული, ხოლო უარყოფითი ზრდა მეორე კვარტალში ნაწილობრივ 2021 წლის მეორე კვარტლის მაღალი საბაზისო ეფექტით არის გამოწვეული, როდესაც კვარტლური ზრდის მაჩვენებელმა 28.9%-ს მიაღწია. ამასთანავე, აღნიშნული მონაცემები ჯერ კიდევ არ ითვალისწინებს რუსეთ-უკრაინის ომის უარყოფით გავლენას ადგილობრივ ეკონომიკაზე.

- შესაბამისად, ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელის მიხედვით, **2022 წლის თებერვლის მონაცემებზე დაყრდნობით, წლიური ზრდის მოსალოდნელი მაჩვენებელი ნეგატიური სცენარის შემთხვევაში 0.6%-ს უტოლდება, ხოლო ოპტიმისტური სცენარის მიხედვით (გრძელვადიანი ზრდის საშუალო მაჩვენებელზე დაყრდნობით) – 1.6%-ს.** ჩვენი შუალედური სცენარის თანახმად (გასული ოთხი კვარტლის ზრდის საშუალო მაჩვენებელზე დაყრდნობით), მოსალოდნელია მშპ-ის 1%-იანი რეალური ზრდა.

**მშპ-ის ზრდის პროგნოზის უკან არსებული ცვლადები:**

**საქონლით ვაჭრობა.** თებერვალში საქართველოს მიერ ექსპორტზე გატანილი საქონლის წლიური მაჩვენებელი **60.3%-ით** გაიზარდა. ეს, ძირითადად, სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (16,8 %-ით), ფეროშენადნობების (15,1%-ით), მინერალური და ქიმიური სასუქების (10,5%-ით) და ავტომობილების (4,2%-ით) ექსპორტის/რეექსპორტის გაზრდამ განაპირობა. ამის საპირისპიროდ, ალკოჰოლური სასმელების ექსპორტის წლიური მაჩვენებელი 1.0%-ით შემცირდა.

**აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი 53.5%-ით** გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (16.1%-ით) და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (6.6%-ით) იმპორტის/რეიმპორტის ზრდით. ამის საპირისპიროდ, ავტომობილების რეიმპორტი 6.4%-ით შემცირდა.

**შესაბამისად, სავაჭრო დეფიციტის მაჩვენებელი მკვეთრად, 48.8%-ით** გაიზარდა და **566.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** მთლიანობაში, ვაჭრობასთან დაკავშირებულმა მაჩვენებლებმა მაინც შეიტანა მცირე დადებითი წვლილი მშპ-ის ზრდის პროგნოზში.

**ფულადი გზავნილები.** თებერვალში ფულადი გზავნილების ზრდის ყოველწლიური მაჩვენებელი **13.7%-ით** გაიზარდა და **183.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.** აღნიშნული მაჩვენებელი, ძირითადად, განპირობებული იყო გაზრდილი გზავნილებით შემდეგი ქვეყნებიდან: ყაზახეთი (წლიურ ჭრილში – 680.7%, მთლიან ზრდაში – 7.4%), იტალია (წლიურ ჭრილში – 15.4%, მთლიან ზრდაში – 2.7%), გერმანია (წლიურ ჭრილში – 61.9%, მთლიან ზრდაში – 2.7%), ყირგიზეთის რესპუბლიკა (წლიურ ჭრილში – 225.2%, მთლიან ზრდაში – 1.4%) და აშშ (წლიურ ჭრილში – 10.3%, მთლიან ზრდაში – 1.2%). ამავდროულად, ფულის შემოდინება შემცირდა საბერძნეთიდან (წლიურ ჭრილში – 21.5%, მთლიან ზრდაში – 2.6%), რუსეთის ფედერაციიდან (წლიურ ჭრილში – 12.7%, მთლიან ზრდაში – 2.0%) და უკრაინიდან (წლიურ ჭრილში – 31.4%, მთლიან ზრდაში – 1.4%).

**ტურიზმი.** 2022 წლის თებერვალში ტურისტების შემოსვლის მაჩვენებელი და ამით განპირობებული შემოსავალი მხოლოდ ნაწილობრივ აღდგა 2020 წლის მკვეთრი ვარდნისა და 2021 წლის კრიზისიდან გამოსვლის პროცესის შემდეგ. თებერვალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წლიურად **274.8%-ით** გაიზარდა (**64.5%-ით** შემცირდა 2020 წლის იმავე თვესთან შედარებით), ხოლო ტურისტების რაოდენობის ზრდის მაჩვენებელმა (ვიზიტორების, რომლებმაც 24 საათი და მეტი



გაატარეს საქართველოში) **282.4%** შეადგინა. მთლიანობაში, ვიზიტორებისა და ტურისტების რაოდენობის ზრდამ, ტურისტული ხარჯების ზომიერ მატებასთან ერთად, მცირე დადებითი წვლილი შეიტანა ზრდის პროგნოზში.

რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER). თებერვალში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი ყოველთვიურად **1.9%-ით** და წლიურად **24.4%-ით** გაიზარდა. ლარის რეალური გაცვლითი კურსი (RER) ყოველთვიურად გამყარდა ძირითადი პარტნიორი ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით (თურქულ ლირის (TRY) გარდა – ლარი გაუფასურებულია 0.6%-ით), ევროსთან მიმართებით (EUR) – 1.9%-ით, რუსულ რუბლთან (RUB) – 3.3%-ით, ხოლო აშშ დოლართან (USD) – 2.4%-ით. გარდა ამისა, წლიურ ჭრილში ლარი გამყარდა თურქულ ლირასთან (**56.1%**), ევროსთან (**26.0%**), აშშ დოლარსა (**16.0%**) და რუსულ რუბლთან (**18.9%**) მიმართებით. მთლიანობაში, ლარის რეალურ გაცვლით კურსთან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე დადებითი წვლილი შეიტანა მშპ-ის რეალური ზრდის პროგნოზებში.

ფულის მასა. ყველა მონეტარული აგრეგატი, გარდა ვიწრო ფულისა (M0) და მიმოქცევაში არსებული ვალუტისა, შესამჩნევად გაიზარდა წლიური თვალსაზრისით. მონეტარული აგრეგატები M2 და M3 წლიურად, შესაბამისად, 16.1%-ით და 7.7%-ით გაიზარდა. ამავდროულად, მიმოქცევაში არსებული ვალუტა შედარებით ნაკლებად შემცირდა, წლიური 4.8%-ით. მიუხედავად ამისა, ვიწრო ფული (M0) შემცირდა შესამჩნევად, წლიური 11.9% პროცენტით. მთლიანობაში, ჩვენი მოდელის მიხედვით, ფულის მასასთან დაკავშირებულმა ცვლადებმა დადებითი წვლილი შეიტანეს მშპ-ის რეალურ ზრდამ 2022 წლის პირველ და მეორე კვარტალში.

ინფლაცია. თებერვალში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ **13.7%** შეადგინა, რაც საგრძნობლად აღემატება მიზნობრივ **3%-ს**. CPI ინფლაციის დაახლოებით 5.1 პროცენტული პუნქტი უკავშირდებოდა სასურსათო პროდუქტების ფასების ზრდას, რომელიც წლიურად 17.2%-ით გაიზარდა (ეს განპირობებული იყო სურსათზე ფასების მატებით მსოფლიოში – FAO-ის სურსათის ფასების ინდექსი 21.3%-ით გაიზარდა წლიურ ჭრილში). გარდა ამისა, საწვავის გაზრდილმა ფასებმა მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა წლიური ინფლაციის მაჩვენებელში (1.5 პროცენტული პუნქტი). ეს უკანასკნელი ტენდენცია, ძირითადად, გლობალურ ზაზარზე ნავთობის ფასების მნიშვნელოვანი ზრდის შედეგია (**Euro Brent Spot Price (COP)**, რომელიც წლიურად **56.0%-ით** გაიზარდა). ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომუნალური მომსახურების ფასების მატებამ. აღნიშნული ფაქტორის წვლილი ინფლაციის მაჩვენებელში 3.6 პროცენტულ პუნქტს შეადგენს. ამავდროულად, საბაზო ინფლაციის მაჩვენებელმა 5.1% შეადგინა. მიზნობრივ 3%-თან შედარებით მაღალი წლიური ინფლაციის მაჩვენებლისა და ინფლაციური მოლოდინების წარმოქმნის რისკების გამო, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2022 წლის მარტში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 0.5%-ით, (11%-მდე) გაზარდა. მთლიანობაში, CPI-თან დაკავშირებულმა ცვლადებმა მცირე უარყოფითი გავლენა იქონიეს მშპ-ის ზრდის პროგნოზზე.

ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტის პროგნოზირების მოდელი ახალი ეკონომიკის სკოლის მიერ შემუშავებული წამყვანი ეკონომიკური ინდიკატორების (LEI) მეთოდოლოგიის მიხედვით შეიქმნა. ჩვენ მიერ შემუშავებული მოდელი ეფუძნება დაშვებას, რომ არსებული მონაცემებიდან შესაძლებელია იმ ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ყველა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცვლადს (მათ შორის მშპ-საც) ასახავს, თან მშპ-ის ზრდის ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე მნიშვნელოვნად ადრე. ISSET-ის კვლევითი ინსტიტუტი თითოეული კვარტლისთვის ხუთ ყოველთვიურ პროგნოზს (ან 'vintage') აქვეყნებს, რომელთა სიზუსტე დროსთან ერთად იზრდება. პირველი პროგნოზი (1-ელი 'vintage'), როგორც წესი, ხელმისაწვდომია საანგარიშო კვარტლის დასრულებამდე ხუთი თვით ადრე. ბოლო პროგნოზი (მე-5 'vintage') კი მომდევნო კვარტლის პირველ თვეში ქვეყნდება.